ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №82

13 მარტი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გენდერული მრჩევლის
თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გენდერული მრჩევლის თანამდებობრივი ინსტრუქცია. (თან ერთვის)
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

დამტკიცებულია
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
2014 წლის 13 მარტის N82 ბრძანებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
გენდერული მრჩევლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თვითმმართველობის მრჩეველი გენდერულ საკითხებში (შემდგომში - მრჩეველი) არის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მოხელე, რომლის ძირითადი ფუნქციაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერა ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაში, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრაში.
2. მრჩეველი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით, „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ კონვენციით, გაეროს რეზოლუციით 1325, ამ ინსტრუქციით და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა აქტებით.
3. მრჩევლის საქმიანობა ვრცელდება ყველა ფიზიკურ პირზე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა ეროვნული,ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, შეხედულებებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.
4. საჭიროების შემთხვევაში მრჩეველი უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და პირთა ანონიმურობის დაცვას.

მუხლი 2. საქმიანობის მიზანი

1. მრჩევლის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის უზრუნველყოფა;

ბ) პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის თანაბარი პირობების შექმნა;

გ) სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური პროგრამებისა და რეფორმების განხორციელების თაობაზე წინადადებების შემუშავება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის რეკომენდაციების მიცემა, მათი განხორციელების მონიტორინგი;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში რეგიონში არსებული პრობლემების გამოვლენა, მონიტორინგი და მათი მოგვარების თაობაზე რეკომენდაციების გაცემა შესაბამისი უწყებებისათვის;

ე) გენდერულ სფეროში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისათვის პირობების შექმნა;

ვ) სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობების უზრუნველყოფა;

ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის უზრუნველყოფა;

თ) განვითარების მდგომარეობისა და პროგნოზული პარამეტრების ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების გენდერული ანალიზი.

მუხლი 3. საქმიანობა და ფუქციები

1. მრჩევლის ძირითადი ფუნქციებია:

ა) კანონმდებლობის საფუძველზე, ცნობიერების ამაღლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა და საზოგადოების ინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა;

დ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

ე) გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების კოორდინაცია;

ვ) გენდერული საკითხების ინფორმაციული და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

ზ) რეგიონში არსებული პრობლემური შემთხვევების გამოვლენისა და მართვის მიზნით ადგილზე ვიზიტების განხორციელება;

თ) მისი კომპეტენციის ფარგლებში ცალკეული ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან კანონით დადგენილი წესით ინფორმაციისა და საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვა და მიღება;

ი) გენდერული თანასწორობის საკითხებზე შემოსული დოკუმენტების მიღება, დამუშავება და შესაბამისი რეაგირება;

კ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ლ) წელიდადში ორჯერ (ივნისისა და დეკემბრის პირველ ნახევარში) წერილობითი ანგარიშის წარდგენა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წინაშე გენდერული თანასწორობის კუთხით რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 4. სამართლებრივი სტატუსი

1. მრჩეველი ადგილობრივი თვითმმართელობის საჯარო მოხელეა, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.
2. მრჩეველი ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, და თანამდებობრივი ინსტრუქციით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.
3. მრჩეველი თანამდებობრივად ანგარიშვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელთან და კოორდინაციაშია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინაშე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში და ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი ბრძანებით.
2. ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანა ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.